კომენტარი

საინფორმაციო ბიულეტენი

ივნისი-ოქტომბერი
2022

რა არის კომენტარი?

www.komentari.ge - ანალიტიკური პლატფორმა, რომელიც სთავაზობს საზოგადოებას კრიტიკულ ხედვას საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

რა არის კომენტარის ფუნქცია?

- ცოდნაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- პროფესიონალური და მიუკერძოებელი მოსაზრებების გაზიარება საზოგადოებისთვის;
- საჯარო პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეების ინტერესების დაცვა.

რას შევცვლით?

ამ მომენტისთვის, პლატფორმა სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს:

- **სამართლის პოლიტიკა;**
- **დემოკრატია;**
- **სოციალური პოლიტიკა და გარემოსდაცვითი სამართალი.**

რა საკითხები გვაინტერესებს?

- **ჩვენ არ ვაქვეყნებთ მხოლოდ ინფორმაციას ან ანალიზს.** ჩვენი ავტორები არიან პროფესიონალები, რომლებიც მკითხველს სთავაზობენ ახალ სადისკუსიო თემებს, პოზიტიურ დღის წესრიგსა და გამოსავლის გზებს;

- **ჩვენი მიზანია, გავაზიაროთ ცოდნა** საზოგადოებისთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემებზე – შევქმნათ რესურსი ქართულ ენაზე, რომელიც უფასო და ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

- **ჩვენ ვქმნით მსჯელობის ალტერნატიულ სივრცეს,** რომელიც პასუხობს საზოგადოებაში გაჩენილ შეკითხვებს, ვავრცელებთ დემოკრატიულ ღირებულებებზე, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპზე აგებულ ცოდნას.

რა გვაწუხებს?

- **პოლარიზაცია** პროცესებს პოლიტიკური შინაარსისგან ცლის და ჭამს ყველაფერს რაციონალურს. ამის გამო, სადისკუსიო სივრციდან პრაქტიკულად იდევნება ალტერნატიული მოსაზრებები, ირიყება ყველა, ვინც დამკვიდრებულ პოლიტიკურ გემოვნებას და იდეებს ემიჯნება;

- **ამით სარგებლობენ რადიკალური პოლიტიკური ძალები,** რომლებიც საკუთარი ელექტორატის გაზრდას ცდილობენ.
  ისინი, მოქალაქეებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე ფსევდო გამოსავლებს სთავაზობენ. ეს მიდგომა კი ხშირად ეფუძნება ადამიანის უფლებების, ისევე როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის უარყოფას;

- **საჯარო განხილვები ლიდერებს შორის** უხამსი, პერსონალური დაპირისპირების მოედნადაა ქცეული. მეინსტრიმული დისკუსიები პარლამენტში, მედიაში, ინტერნეტ სივრცეში ხელოვნურად წამოწეულ საკითხებზე იმართება;

- **ყურადღების მიღმა რჩება თემები,** რომელიც მოქალაქეებს აწუხებს და ქართული დემოკრატიის წინსვლას აფერხებს იქნება ეს სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურის პოლიტიკასთან თუ სახელმწიფო ინსტიტუტებთან დაკავშირებული პრობლემები;

- **საქართველოს მოსახლეობის** მნიშვნელოვანი ნაწილი მეტწილად, იზოლირებულია იმ მრავალფეროვანი ცოდნისა და მსჯელობისგან, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო გვთავაზობს.

კომენტატორები

სარედაქციო საბჭო

მერაბ ქართველიშვილი
თანადამფუძნებელი, სოციალური
პოლიტიკის მიმართულების რედაქტორი

ვახუშტი მენაბდე
თანადამფუძნებელი, დემოკრატიის
მიმართულების რედაქტორი

სოფო ვერძეული
თანადამფუძნებელი, სამართლის
პოლიტიკის მიმართულების რედაქტორი

ავტორები

მარიამ სვიმონიშვილი
იურისტი

მიხეილ სვანიძე
სოციოლოგი

ანა გვალია
სოციოლოგი

ნინო ხელაძე
სოციოლოგი

ომარ გორდეზიანი
სოციოლოგი

ალექსანდრა არუოშვილი
სოციალური პოლოტიკის მკვლევარი

ნინა ჩიხლაძე
იურისტი

თეკლა ზუხბა
სოციოლოგი

ზურაბ ქარჩავა
პოლიტიკის მეცნიერი

კომუნიკაციის გუნდი

პლატფორმის პარტნიორია “პროექტი 64”

კომენტარი

5 თვის ანგარიში

საინფორმაციო და ანალიტიკური სტატიები

„კომენტარმა“ სოციალური პოლიტიკის მიმართულებით დაიწყო ინფორმაციული სტატიების გამოქვეყნება ისეთი თემების გარშემო, როგორებიცაა სოციალური დაცვა და კეთილდღეობა, შრომითი უფლებები, მიგრაცია და სხვა. პროექტის ფარგლებში, ავტორების მიერ მომზადებული **41 ინფორმაციული სტატია** უკვე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე. ტექსტების მიზნებიდან გამომდინარე, ასეთი სტატიები მხოლოდ ქართულ ენაზე ქვეყნდება.

„კომენტარის“ გუნდი მუშაობდა ანალიტიკურ ტექსტებზეც. გასულ 5 თვეში გამოქვეყნდა **17 ანალიტიკური სტატია,** მათ შორის, 13 ხელმისაწვდომია ინგლისურად.

ვიდეოები

კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც „კომენტარი“ საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს, ვიდეორგოლებია.

საანგარიშო პერიოდში, პლატფორმამ, სხვადასხვა თემაზე, **8 ვიდეო** გამოაქვეყნა. მათ შორის იყო ისეთი აქტუალური საკითხები, როგორებიცაა დეპოლარიზაცია, დეოლიგარქიზაცია, პრობლემები სასამართლო სისტემაში, სოციალური პოლიტიკა და შრომითი უფლებები.

ვიზუალიზაცია

სხვადასხვა ვიზუალური მასალის გამოყენებით, „კომენტარის“ რედაქტორები გამოეხმაურნენ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმასა და პარალელურად მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გარდა ამისა, მსგავსი ვიზუალური მასალა გამოქვეყნდა სოციალური პოლიტიკის კომენტატორების მიერ დამუშავებულ თემებზეც.

5 თვის განმავლობაში, პლატფორმის ვებ და სოციალური მედიის გვერდებზე, სხვადასხვა თემაზე, **26 „ქარდი“** გამოქვეყნდა.



„კომენტარი“ რიცხვებში

სოციალური მედიის აუდიტორია

- ასაკი



- გენდერი

- რეგიონი



სოციალური მედიის ჩართულობა



	FACEBOOK	INSTAGRAM
სოციალური მედია -		
ჯამური ჩართულობა -	205245	13511

ვებ-გვერდის მომხმარებლების სტატისტიკა

3510 | 9+ ქვეყანა | 547 | 2963

დონორები

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

„ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი **„ქართული საზოგადოების მონაწილეობისა და მობილიზაციის მხარდაჭერა მათთვის სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე“,** რომლის ფარგლებშიც შეიქმნა პლატფორმის ვებ-გვერდი და დამუშავდა ისეთი მნიშვნელოვანი თემები როგორებიცაა, სოციალური დაცვა და კეთილდღეობა, შრომითი უფლებები, მიგრაცია და სხვა. „კომენტარის“ გუნდმა, შეიმუშავა როგორც ინფორმაციული, ასევე ანალიტიკური სტატიები და „ქარდები“.

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

ევროკავშირისა და „კონრად ადენაუერის ფონდის“ მიერ დაფინანსებული „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ ფარგლებში, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“ (CTC) მხარდაჭერით, „კომენტარი“ ახორციელებს პროექტს **„კომენტარი ხალხისთვის“.** ის მიზნად ისახავს პლატფორმაზე განთავსებული ხედვების პოპულარიზაციას სტრატეგიული კომუნიკაციისა და მულტი-მედია პროდუქტების შექმნის გზით. პროექტის ფარგლებში, „კომენტარმა“ უკვე შეიმუშავა რამდენიმე ვიდეორგოლი აქტუალური საკითხების შესახებ, მათ შორისაა პრობლემები სასამართლო სისტემაში, სოციალური პოლიტიკა და შრომითი უფლებები.

USAID კანონის უზენაესობის პროგრამა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

პლატფორმა კომენტარი USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს **„მართლმსაჯულების სისტემის დემოკრატიზაციის ხელშეწყობა საქართველოში“.** მისი მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მათ ცხოვრებაზე მართლმსაჯულების სისტემის პრობლემების გავლენის შესახებ. პროექტის ფარგლებში, პლატფორმა მოაწყობს რეგიონულ შეხვედრებს სტუდენტებთან, აქტივისტებთან, მასწავლებლებთან, ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან საჯარო დისკუსიის ფორმატში. იმპლემენტაციის პროცესში, „კომენტარი“ დაფარავს 4 ქალაქს - ბათუმი, ქუთაისი, გორი და ახალციხე.

კომენტარი